სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 5 23 0001090276

06/09/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და
ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე წესდების 21-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების 35-ე მუხლისა და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის N1084749 ბრძანების, უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა (ოქმი N2, 05.09.2023) და აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ლევან შავაძის სამსახურებრივი ბარათის (05/09/2023; N1084294) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის არჩევნები;

2.უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2023 წლის 24 ოქტომბერს, 10:00 საათიდან 14:00 საათამდე;

3.კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 06 ოქტომბერს და დასრულდეს 2023 წლის 15 ოქტომბერს;

4.კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან 17 საათამდე;

5.დეკანობის კანდიდატებმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა)განცხადება;
ბ)პირადობის მოწმობის ასლი;
გ)ავტობიოგრაფია (CV);
დ)ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია;
ე)ცნობა კანდიდატის აკადემიური თანამდებობის შესახებ;
ვ)სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.

6.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტს;
7.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
8.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ.კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
9.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა